საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01- 02/96

ქ. ბათუმი 27 აპრილი, 2022 წელი

,,2022-2023 სასწავლო წლისათვის მიკოლას რომერის, ვიგოს და ზაარლანდის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 07 აპრილის №01-02/80 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2022 წლის 26 აპრილის MES 0 22 0000420230 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ,, 2022-2023 სასწავლო წლისათვის მიკოლას რომერის, ვიგოს და ზაარლანდის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 07 აპრილის №01-02/80 ბრძანებაში, კერძოდ, პირველ პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. გამოცხადდეს კონკურსი 2022-2023 სასწავლო წლისათვის მიკოლას რომერის (ლიტვა), ვიგოს (ესპანეთი) და ზაარლანდის (გერმანია) უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების (სამართალმცოდნეობის, ფარმაციის, ქიმის, ბიოლოგიის, თარგმანმცოდნეობის და უცხო ენების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების) სტუდენტთა შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული **საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება - 2022 წლის 07 აპრილიდან 28 აპრილის 15:00 საათამდე** (სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის სამსახურის დახმარებით) - ელექტრონულ პლატფორმაზე http://registration.bsu.ge და ელექტრონულ ფოსტაზე: erasmus@bsu.edu.ge; საკონკურსო დოკუმენტაცია შეიძლება წარმოადგინოს იმ პირებმა, რომლებმაც მიიღეს შეფასება (ჩააბარეს გამოცდა) უცხოურ ენებში (ინგლისური B1/B2,

გერმანული B1) - 2022 წლის 27 აპრილს ,,ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მიზნით.

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - 2022 წლის 28 აპრილი (15:00-18:00 საათი), სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის (საკონკურსო კომისიის) მიერ;

გ) გასაუბრება კონკურსანტებთან - 2022 წლის 29 აპრილი (გასაუბრების ჩატარების ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე);

დ) ბსუ-ს მიერ კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში - 2022 წლის 29 აპრილი.“.

2. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ შესაბამისი წერილობითი ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება და დაინტერესებული პირებისათვის მიწოდება უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა.

3. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და საქმისწარმოების სამსხურმა (კანცელარია), მათი კომპეტენციების შესაბამისად.

4. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ანზორ ბერიძემ.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს) და საკონკურსო კომისიის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**